

ანგარიში

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული
მუშაობის შესახებ

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ლავრენტი ალანია

თანამდებობის დასახელება: საკრებულოს წევრი

საანგარიშო პერიოდი: - 2016 წელი

კომისი(ებ)ის დასახელება: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
წევრი

ფრაქციის დასახელება: ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველები“ -ს წევრი

- საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 24 სხდომა (10 რიგითი და 14 რიგგარეშე)

საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 19 სხდომა

- სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 39 სხდომა

კომისიის სხდომებზე დასწრება:

- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ ჩატარდა 18 სხდომა

დავესწარი - 10 სხდომას

- საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ ჩატარდა
21 სხდომა

დავესწარი - 6 სხდომას.

- სულ ფრაქციის სხდომის რაოდენობა - 2სხდომა

ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 1 სხდომა

- **საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – „რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო“-ს 2016 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N683 განკარგულების მიღება. იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქში კვლავ აქტუალური რჩება შიდასაქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. აღნიშნული განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის დოტაციის გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა გააჩნია.

- **საკრებულოს წევრის მიერ სააგნარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩემს საქმიანობას წავმართავ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

ქალაქ რუსთავის საკრებულო აქტიურად თანამშრომლობს უცხოელ კოლეგებთან. დამეგობრებულ ქალაქებს შორის ხორციელდება გაცვლითი ხასიათის სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები. ამის მაგალითია უკრაინაში, ქალაქ ვინიცაში, ევროპის ყოველწლიურ დღეებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ჩემი ვიზიტი.

როგორც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის; საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი ჩართული ვარ აღნიშნული კომისიების საქმიანობაში განსახილველად გამოტანილ საკითხებზე სათანადო დასკვნების შემუშავებაში, ხოლო როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს წევრი ვაფიქსირებ ჩემს პოზიციებს სხდომებზე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

ამასთან, რეგულარულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩევლებს და მათ მიერ წამოჭრილ პრობლემებს ვაყენებდი კომისიის (ფრაქციის) და საკრებულოს წინაშე. მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, საკრებულოსა და მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, დადებითად გადაიჭრა ბევრი საკითხი.